დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია

თბილისი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 3

მუხლი 3. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება 3

მუხლი 4. კურიკულუმის ანალიზი 5

მუხლი 5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 6

მუხლი 6. შეფასების შედეგების გამოყენება. 8

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები 9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და შინაარსობრივ საკითხებს, ადგენს შეფასების მექანიზმებს, წესებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

2.1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

2.2. სწავლის შედეგების შეფასება უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას, მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

2.3. საგანამანათლებლო პროგრამ(ებ)ის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად.

2.4. საგანამანათლებლო პროგრამ(ებ)ის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის მონიტორინგს ახდენს ხარისხის განვითარების დეპარტამენტი.

2.5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:

1.5.1. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
1.5.2. კურიკულუმის ანალიზი;
1.5.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
1.5.4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 3. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება

3.1. პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე

3.2. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს.

3.3. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის, ერთსაფეხურიანი და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით.

3.4. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც პროგრამის კვალიფიკაციის მქონე პირს უნდა ჰქონდეს.

3.5. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახული უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე.

3.6. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

3.7. შეფასების ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა; უნდა მოხდეს მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების გადახედვა/გათვალისწინება.

3.8. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დროს დგინდება აღნიშნული დარგის საჭიროებები, რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს. ანალიზის შედეგად შესაბამისი ცოდნა და უნარები უნდა აისახოს სწავლის შედეგებში. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იყოს დამსაქმებელთა გამოკითხვით, ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით, არსებული მონაცემების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მეთოდების საშუალებით;

3.9. სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ბევრი. ოქროს წესად მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება.

3.10. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას და ფორმულირებისას გამოყენებული უნდა იყოს ბლუმის განახლებული ტაქსონომია და მისი თითოეული დონისთვის განსაზღვრული შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით მარტივდება სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზღვრა და ასევე მათი შეფასება.

3.11. სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს).

3.12. სწავლის შედეგები უნდა იყოს შემდეგნაირად ფორმულირებული - პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ + მოქმედების გამომხატველი ზმნა +რა ეცოდინებათ, რა უნარები ექნებათ, რა ემოციური ცვლილება მოხდება მათში.

მუხლი 4. კურიკულუმის ანალიზი

4.1. სწავლის შედეგების განსაზღვრის შემდეგ, ხორციელდება კურიკულუმის გადახედვა, რათა გადამოწმებულ, იქნეს სტუდენტებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს.

4.2. ამ მიზნისთვის დგება კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, კვლევითი კომპონენტებით და რა დონით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები

4.3. დონის მისათითებლად რეკომენდირებულია გამოყენებული იყოს აღნიშვნები: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

4.4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გასაადვილებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების რუკა, რომლის მეშვეობით ნათლად გამოჩნდება ბმა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ს შორის.

4.5. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნული შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4.5.1. მაგალითი 1: სტუდენტების 60% მიიღებს 15-დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ ესეს (ან ნებისმიერი სხვა შეფასების მეთოდი) მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა).

4.5.2. მაგალითი 2: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა (სტუდენტთა შეფასებების გადანაწილება შეესაბამება გაუსის განაწილებას, როდესაც დაახლოებით 10%

სტუდენტისა იღებს A შეფასებას, 25% - B შეფასებას, 30% - C-ს, 25% - D-ს, და 10% კი - E)

4.6. განსაზღვრული უნდა იყოს სამიზნე ნიშნულიდან გადახრის მაჩვენებლები, რომელთა დადგომის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

4.6.1. მაგალითი 1: ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები;

4.6.2. მაგალითი 2: იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა 30%-ზე მეტი შეფასდება მაქსიმალური შეფასებით, ან მიიღებს F - არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები.

4.7. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის, წინამდებარე გზამკვლევში მოცემული ფორმების გარდა, დამატებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს შესაბამისი ფორმა.

მუხლი 5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

5.1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

5.2. პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია ტესტი, გამოცდა, ესე, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, შესრულების შეფასება და სხვა.

5.3. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვა (სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.), კურიკულუმის ანალიზი, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც.

5.4. პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული პერსონალის მიერ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს შესაბამისი ფორმები.

5.5. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

5.6. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აღწერილი უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით/აქტივობით/შეფასებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. (იხ. რუბრიკის ნიმუში 1 და 2).

5.7. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება. სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც.

5.8. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება.

5.9. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება. ასევე, თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში.

5.10. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

მუხლი 6. შეფასების შედეგების გამოყენება.

6.1. უნივერსიტეტი ახორციელებს შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარებას და ანალიზს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც იყო ნავარაუდევი.

6.2. ისეთი სწავლის შედეგის არსებობისას, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან ვერ აღწევს, საჭიროა კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომელებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.

6.3. მნიშნველოვანია აგრეთვე სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა.

6.4. დადგენილი სამიზნე ნიშნულიდან (პუნქტი 4.5) წინასწარ დადგენილი დიაპაზონით/მაჩვენებლით (პუნქტი 4.6) გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

6.4.1. კრედიტების/საათების განაწილება;

6.4.2. სწავლა-სწავლების მეთოდები;

6.4.3. თემატიკა;

6.4.4. მოცულობა;

6.4.5. შეფასების ფორმები და მეთოდები;

6.4.6. სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

6.5. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.

6.6. განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში უნდა გაიწეროს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების გეგმა და შეთანხმდეს ხარისხის განვითარების დეპარტამენტთან და შესაბამისი სკოლის დეკანთან, რომელიც შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

6.7. სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შემდეგ ხარისხის განვითარების დეპარტამენტისთვის წარმოდგენილ უნდა იყოს განხორციელებული ცვლილებების ანგარიში და ცვლილებების შედეგად მიღწეული შედეგების შეფასების გეგმა.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. საკითხები, რომლებიც განსაზღვრული არ არის წინამდებარე დებულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მის დამტკიცებისთანავე.

7.3. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ.

ნიმუში 1

რუბრიკა - სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთდაკავშირება[1]

სწავლის შედეგები	**შეფასების კრიტერიუმები**				
	I დონე	*2:1 დონე*	*2:2 დონე*	*დამაკმაყოფილებელი*	*ჩაჭრა*
სტუდენტი აჯამებს შესაბამის მტკიცებულებებს არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად	ლიტერატურის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებებ ის სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ლიტერატურის ძალიან კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ლიტერატურის კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ლიტერატურის შეზღუდული გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ლიტერატურის მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის შესაძლებლობების არქონის ჩვენება

[1] დოქტ. დეკლან კენედი; სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა პრაქტიკული სახელმძღვანელო; 2006

ნიმუში 2.

რუბრიკა [2]

0– ჩაჭრა	ვერ შეძლო გამოევლინა განსაზღვრული უნარები.
1 – ქვე–სტანდარტი	სტუდენტი შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება შესაფასებელ უნარებში.
2 – ადექვატური	სტუდენტი შეეცადა და წარმატებით გაართვა თავი შესაფასებელი უნარების ქვეკომპონენტების უმრავლესობას და შედეგად, ნაშრომმა დააკმაყოფილა დადებითი შეფასების მინიმალური სტანდარტები.
3 – საშუალოზე მაღალი	სტუდენტი საფუძვლიანად ფლობს შესაფასებელ საკითხებსა და ქვე–ელემენტებს; აღნიშნული საკითხები საკმარისად იყო გაშლილი; იყო დამაჯერებელი და აკადემიურად გამართული.
4 – უმაღლესი	თვალსაჩინოა, რომ სტუდენტი შესანიშნავად ფლობს შესაფასებელ საკითხს, შეძლო ძირეულად ჩაწვდომოდა, ნათლად და დამაჯერებლად გაანალიზა და მოახერხა ქვე–ელემენტების ინტეგრირება. ნათლად გამოხატავს იდეებს, თეორიებს და კურსის მიმდინარეობისას შეთავაზებულ სასწავლო საკითხებს. წარმოდგენილი არგუმენტები იყო თანმიმდევრული, დამაჯერებელი და მიანიშნებს შესწავლილი მასალის სიღრმისეულ ცოდნაზე.

[2] წარმოდგენილი რუბრიკის კრიტერიუმებში გამოყენებულია „განსაზღვრული უნარები“, „მინიმალური სტანდარტი“. შესაბამისად, ასეთი რუბრიკის გამოყენებისას სავალდებულოა წინასწარ შემუშავებული იყოს მინიმალური სტანდარტი, ან ის განსაზღვრული უნარები, რომელთა გამოყენების დემონსტრირება უნდა მოახდინოს სტუდენტმა